29, 30, 31, 32,
F 550 N 7452
ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დიდის შუქი, არ გაიცვლების სხვაზედა..

# ოდიში

1991
შაბათი
2
მარტი
№ 26 (10419)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

27 თებერვალს გაიხსნა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია.

უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისიისა და დეპუტატის ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ბიძინა დანგაძის მოხსენების გამო სესიამ ცნო დეპუტატების კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ფირცხალავასა და აკაკი გიორგის ძე მათიაშვილის უფლებამოსილება, რომლებიც საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო" პარტიული სიით არიან არჩეული.

უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის მდივანმა გიორგი გულბანმა სხდომას მოახსენა, თუ რა ცვლილებანია შეტანილი უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში, რომელიც დეპუტატებმა პირველი წაკითხვით წინა სხდომაზე განიხილეს. სესიამ მიიღო ეს კანონი და დადგენილება მისი სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ.

შემდეგ განიხილეს უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის საკითხი.

აზრთა გაზიარების შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები აკაკი ბობოხიძე, დავით ბერძენიშვილი, რომან გოცირიძე, თედო ნინიძე, ალექსანდრე ქობულაშვილი, ეთერ გუგუშვილი, კანონი მიღებულია საბოლოო რედაქციით.

უზენაესმა საბჭომ ცვლილებანი და დამატებანი შეიტანა ამა წლის 29 იანვარს მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის კანონში „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ", აგრეთვე ამასთან დაკავშირებით შეტანილია ცვლილებანი და დამატებანი რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში).

„ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების არჩევნების შესახებ" კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის საკითხზე გამოვიდა დეპუტატი თენგიზ ჩაჩავა. სესიამ მიიღო წარმოდგენილი ცვლილებანი და დამატებანი.

სანამ სესია შეუდგებოდა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ დადგენილების პროექტის განხილვას, ამ ავტონომიურ რესპუბლიკაში მომხდარ უკანასკნელ მოვლენებს პოლიტიკური შეფასება მისცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ რამდენადაც საქართველო უარს ამბობს სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერაზე, ცენტრი ყოველნაირად ცდილობს გაითამაშოს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაძაბულობის ხელოვნურად გაძლიერების უკვე არაერთხელ მოსინჯული სქემა. ამას ადასტურებს სსრ კავშირის პრეზიდენტთან მისი ტელეფონით საუბრის შინაარსიც.

სესიაზე მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განცხადება, რომელშიც გამოთქმულია პროტესტი იმის გამო, რომ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეყვანილია სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების 250 სამხედრო მოსამსახურე სრული საბრძოლო აღჭურვილობით იმ საბაბით, რომ მათ უნდა შეასრულონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები გულრიფშის რაიონში მდებარე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სანატორიუმში. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ეს ქვეგანაყოფი შემოყვანილია საქართველოსა და აფხაზეთის მთავრობათა ნებართვის გარეშე.

აფასებს რა ამ ფაქტს, როგორც სსრ კავშირის კანონმდებლობის უხეშ დარღვევას და საქართველოს სუვერენული უფლებების სრულ უგულებელყოფას, უზენაეს საბჭოს ეს მიაჩნია დესტრუქციული ძალების მორიგ პროვოკაციად, რომლებიც მიზნად ისახავენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციას, როგორც საქართველოს ამ რეგიონში, ასევე მთლიანად რესპუბლიკაში, განცხადება შეიცავს მოთხოვნას ალიკვეთოს იმ თანამდებობის პირთა თვითნებობა, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება შინაგანი ჯარების შემოყვანის შესახებ, და დაუყოვნებლივ გაიყვანონ ისინი საქართველოს ტერიტორიიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ აქციის შედეგებისათვის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება უკანონოდ მოქმედ მხარეს, ნათქვამია განცხადებაში.

აფხაზეთში შექმნილ სიტუაციაზე ილაპარაკეს აგრეთვე დეპუტატებმა ნუგზარ მგალობლიშვილმა, ლევან ალექსიძემ, გიორგი ქავთარაძემ და სხვებმა.

სესიამ მიიღო დადგენილება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ.

უზენაესმა საბჭომ შეაჩერა მოქმედება სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 26 იანვრის ბრძანებულებისა „ეკონომიკის სფეროში ეკონომიკურ საბოტაჟთან და სხვა დანაშაულობებთან ბრძოლის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ" და 1991 წლის 4 თებერვლის ბრძანებულებისა „ყველაზე საშიშ დანაშაულობებთან და მათს ორგანიზებულ ფორმებთან ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ". ასეთი გადაწყვეტილება ნაკარნახევია იმის საჭიროებით, რომ უზრუნველვყოთ რესპუბლიკის სუვერენული უფლებანი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 77-ე მუხლის შესაბამისად, როგორც ხაზგასმულია მიღებულ დადგენილებებში, ამგვარ დანაშაულებებთან ბრძოლა წარიმართება რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

სესიაზე მიღებულია კანონი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში—საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენის ვადის გაგრძელების შესახებ და დადგენილება არჩევნების მონაწილე დეპუტატობის კანდიდატებისა და მათი ნდობით აღჭურვილი პირებისათვის საშუალო ხელფასის მიცემის შესახებ.

უზენაესმა საბჭომ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის, ქალაქისა და დაბისათვის სახელის გადარქმევის საკითხი. აზრი გამოთქვეს დეპუტატებმა ლოვარდ ტუხაშვილმა, მზექალა შანიძემ, რამაზ სურმანიძემ, მელს ბდოიანმა, გია ხავთასმა, როინ მეტრეველმა და სხვებმა. მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

სესიამ განიხილა საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის გაუქმებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის შექმნის საკითხი. ამ საკითხის განხილვის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები რომან გოცირიძე, აპოლონ სილაგაძე, შალვა აბზიანიძე, გივი თაქთაქიშვილი, ბაკურ გულუა და სხვები, დეპუტატებმა მიიღეს შესაბამისი კანონი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ანზორ ჯანჯღავა.

უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის თავმჯდომარის ირაკლი ჩხეიძის წარდგინებით სესიამ მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში მიწის ნაკვეთების გაცემის საფუძვლიანობის საკითხების შემსწავლელი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დროებითი კომისიის შექმნის შესახებ. დეპუტატებმა განიხილეს და მიიღეს კანონი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

უზენაესმა საბჭომ უფლებამოსილების ვადა გაუგრძელა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრებს ალექსი წაბრიას და ალექსანდრე ალადაშვილს მათ მიერ შესაბამის სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დამთავრებამდე.

სესიაზე წინადადებები შეიტანეს და განცხადებები გააკეთეს დეპუტატებმა, ავთანდილ საყვარელიძემ, ამირან კალაძემ, ალექსანდრე კავსაძემ.

28 თებერვალს სესია მუშაობას განაგრძობდა.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.

## საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკრებულოთა არჩევნების ქ. ზუგდიდის საარჩევნო კომისია

**თავმჯდომარე:** ლურწკაია ილუშა შალვას ძე —ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ინჟინერი.

**მოადგილე:** ჭირია ნანა ვალერიანეს ასული —საიჯარო ფირმა „ენგურის" ინჟინერი.

**მდივანი:** ქანთარია ნინო გიორგის ასული—ცაიშის ჩაის ფაბრიკის ინჟინერი.

**წევრები:**

ბუაძე ნოდარ შალვას ძე — საფინანსო განყოფილების ეკონომისტი.

ხუბუა დავით ალექსანდრეს ძე კომპარტიის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი.

ბენდელიანი ზოია სევერიანეს ასული—საკონსერვო ქარხნის ბრიგადირი.

უჩავა ქეთინო სოკრატეს ასული— ფაიფურის ქარხნის ლაბორანტი.

აბრალავა მარინე ბეჟანის ასული — ფაიფურის ქარხნის ცლის ოსტატი.

ჭიქია ზურაბ ვარლამის ძე — სმედმსი-ის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი.

როგავა შ. ქრო იროდის ძე— ტელესადგურის ელექტრიკი.

ბიჭია თამაზ მიხეილის ძე — ვაჭრობის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ბულია ვახტანგ ვლადიმერის ძე—ფაიფურის ქარხნის ოსტატი.

ჟვანია თამრიკო ნიკოლოზის ასული—მაღაზია № 20 გამყიდველი.

კომისიის თავმჯდომარე
ი. ლურწკაია,

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკრებულოთა არჩევნების ქ. ზუგდიდის ცენტრალური საარჩევნო კომისია მდებარეობს რუსთაველის ქ. № 40 ტელეფონი 2-33-54. (საქალაქო საბჭოს აღმასკომის შენობაში მე-4 სართულზე).

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: ი. ლურწკაია.

ხალხი ასე ფიქრობს, ასე სჯის

# გათიშულობა ხეირს არ დაგვაყრის

ველიკორუსული შოვინიზმი, რუსი ერის „უფროსი ძმის" განსაკუთრებულობა ყოველთვის ხიავის, გაუგებრობების, ერთა შორის დაძაბულობის საბაბი გამხდარა ხშირად. სხვათაშორის ასეთი წარმოდგენა მნიშვნელოვნად განაპირობებს მთელ პოლიტიკას და იდეოლოგიას, რასაც ამჟამად ანხორციელებს ეგრეთწოდებული ცენტრი ცალკეული რესპუბლიკების დასაშინებლად. ყველანი ვართ მოწმე იმისა, თუ რა თავგამოდებით იბრძვიან მცირერიცხოვანი რესპუბლიკები ხალხმრავლობრივი სუვერენიტეტისათვის. მაგრამ მათ შეუპოვარ, ერთსულოვან ბრძოლას პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე წინ ეღობება საკავშირო იმპერიული ამბიციები. საუბედუროდ, „ამ" განწყობილებით არის გამსჭვალული ცენტრალური ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც ვერაფრით ვერ ელევა ძალაუფლებას, დრომოჭმულ იდეოლოგიურ დოქტრინებს. რეაქციონერული აზროვნებით გონებაშეზღუდული ჩინოვნიკები ჯერ კიდევ შორს არიან იმ გადაწყვეტილებისაგან, რომ საკუთარი ნებით გამოეთხოვონ მაღალ სარდლობის პოსტებს, შინაგანი გაგებით შეხვდნენ დროის მიერ მოტანილ განახლების აუცილებლობას და ესტაფეტა გადასცენ პროგრესულ, კონსტრუქციული იდეების მატარებელ ახალგაზრდებს.

ახლანდელ ვითარებაში არ მიმაჩნია მიზანშეწონილად ხელადებით, თვითდაჯერებული ტონით მტკიცება იმისა, რომ მხოლოდ შენ ხარ მართალი და შენი პოზიცია გამოსადეგი ქვეყნისთვის. უფრო სწორი ის იქნება, რომ სხვადასხვა პოლიტიკური ძალები მაქსიმალური ძალისხმევით ეძებდნენ შერიგების, პოზიციათა დაახლოების, თანხმობის გზას. სხვანაირად ვერ ავიცილებთ კონფრონტაციას, ურთიერთდაპირისპირებულობას, რაც ხშირ შემთხვევებში ტრაგიკულ მასშტაბებს იძენს.

აბა დაუკვირდით, რა სიტუაციების მოწმენი ვართ. სხვადასხვა პოლიტიკურ გაერთიანებათა წარმომადგენლები საერთო ენის გამონახვას ცივილიზებული მეთოდებით კი არ ცდილობენ, არამედ ძალისმიერი დაწოლით, რაც საზოგადოებაში შიშსა და პანიკას თესავს. ყოველგვარი სახის შანტაჟი და პროვოკაცია —ეს არის საზოგადოებრივი ძალების გათიშვისაკენ მიმავალი გზა. ჩვენ ეს გზა დღეს არ გამოგვადგება. პირიქით, იგი მტრის წისქვილზე ასხამს წყალს. ეს უნდა შევიგნოთ ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ნათელი მომავალი. უნდა გავითავისოთ ის ჭეშმარიტება, რომ ერთობის გარეშე განსაცდელს ვერ ავცდებით.

მ. ნარმანია,
ფილოლოგი.

## ნუ მოგვშლოდეს სიკეთის ძალა

მიუხედავად იმისა, რომ სტუმართმოყვარეობა და მოყვასისადმი თანალმობა ხშირად ჩვენი უბედურების მიზეზი გამხდარა, ქართველ კაცს მაინც დღემდე მოჰყვა ეს ქრისტიანული წეს-ჩვეულება. ამ ძნელბედობის ჟამს, როცა მთელი სისასტიკით გვებრძვიან, მაინც შემოგვრჩა იმდენი სიკეთე, რომ გადამთიელისთვისაც გავიმეტოთ, გავიმეტოთ, რაც მთავარია, უანგაროდ, უშურველად.

ქართველი კაცის სწორედ ეს თვისება გვაიმედებს და გვინერგავს რწმენას, რომ სიკეთის მთესველი ერი არ გაიწირება და აუცილებლად ეწევა ნანატრ თავისუფლებას.

აი, წერილი, რომელიც ყირიმიდან გამოგვიგზავნეს რედაქციაში რუსი ეროვნების ადამიანებმა და მორიდებით გვთხოვენ მისი გამოქვეყნება.

ნათესავები და მეგობრები მადლიერებას გამოხატავენ იმის გამო, რომ ზუგდიდელებმა დიდი სითბო და თანაგრძნობა გამოიჩინეს მათი ძმის, ვალენტინ დიმიტრის ძე გრუზინოვის მიმართ, რომელიც მუშაობდა №9 მოძრავ-მექანიზებულ კოლონაში. იგი გულის უკმარისობით გარდაიცვალა და პატრონობა სწორედ კოლექტივმა და დარჩენილმა ადამიანებმა იკისრეს. „არ გვეგონა,—წერენ წერილის ავტორები,— რომ ჩვენს ძმას, რომელიც უბრალო ელექტროშემდუღებელი იყო, ასე დაიტირებდნენ და ასეთი მოწიწებით გააცილებდნენ უკანასკნელ განსასვენებლამდე. როცა შევეკითხნენ, როგორი წესით მოეწყოთ გასვენება, ქართულით, თუ რუსულით, ჩვენ ვუპასუხეთ, ქართულით, რადგან თქვენი ადათ-წესებით მოხიბლული ვართ და ჩვენი ძმაც დიდად აფასებდა და უყვარდა ქართველები, ძმებს ეძახდა".

წერილში განსაკუთრებულ მადლობას უხდიან დახმარებისათვის №9 მმკ-ს უფროსს ჟ. ჯიქიას, მთავარ ინჟინერს გ. ჯაბულაძეს, მთავარ მექანიკოს ჟ. გაგუას, მთელ კოლექტივს, ასევე დარჩელის მოსახლეობას, სადაც ეს კოლექტივი მუშაობდა.

დიახ, ნუ მოგვშლოდეს სიკეთის ქმნის ძალა და ამ სიკეთის დაფასება-შეფასებისა.

საწარმო, სოციალური სფერო

## ძირძველ კომბინატში

ქალაქის საწარმოებს შორისაა უძველესი საწარმო—ადრე ჩაის საწნეხი ფაბრიკა, დღეს კი ჩაის კომბინატი „ოდიში", სადაც 400-მდე მუშა-მოსამსახურეა დასაქმებული.

მუშათა შრომით და საყოფაცხოვრებო პირობებზე ბევრადაა დამოკიდებული საწარმოს წინსვლა, შრომის ნაყოფიერების ზრდა და გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირება.

გავესაუბრეთ კომბინატის პროფკომიტეტის თავმჯდომარეს საარტაკ ჯეჯელავას. აი, რა თქვა მან:

—კომბინატში დასაქმებული ყველა პირი ემსახურება ერთ საქმეს—გამოუშვან ხარისხოვანი პროდუქცია და შეარჩინონ ქართული ჩაის სახელი.

ამ უძველეს საწარმოში, რომლის წარმადობა პერიოდულად იზრდება, მუშაობენ გამოცდილი სპეციალისტები, მუშები, რომელთა საყოფაცხოვრებო პირობები ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. დაწყებულია ოთხსართულიანი 48 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, მაგრამ მესამე წელია, რაც მშენებლები (სენაკის ერთ-ერთი მოძრავ-მექანიზირებული კოლონა), პირველ სართულს ვერ ასცილდებიან...

ადებული ტემპი დაბალია. გაძვირდა სამშენებლო მასალები და გაძვირდა მშენებლობაც. არადა გეგმით ნაგებობა წელს უნდა შესულიყო ექსპლოატაციაში. იგი შენდება არაცენტრალიზებული წესით წარმოების მოგებიდან გამოყოფილი თანხებით და ამ მხრივ შეფერხებები არ არსებობს.

სამწუხაროდ მუშათა ნაწილი ცხოვრობს საუწყებო სახლებში, რომლებიც რეალურად არც კი ექვემდებარება კაპიტალურ შეკეთებას.

საქებია აღდგეს ის მდიდარი ტრადიცია, რომელიც კომბინატის სპორტსმენებს გააჩნდა წლების მანძილზე. გვყავდა ფეხბურთელები, კალათბურთელები, მოჭადრაკეები, რომლებიც არაერთხელ გამოსულან რაიონულ და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში გამარჯვებულნი.

განახლებას მოითხოვს საკლუბო მუშაობაც. ბიბლიოთეკა სადღეისოდ ერთ-ერთი ადგილია, სადაც იმართებოდა და იმართება სხვადასხვა ღონისძიებები.

მთელი სიმწვავით დგას დემოგრაფიული საკითხები დღის წესრიგში. ახლადდაქორწინებულთ სესხის სახით (8 წლის ვადით), ეძლევათ 1500 მანეთი. ერთდროული დახმარება ეძლევათ მარტოხელა და მრავალშვილიან დედებს, პენსიონერებს. გასულ წელს რესპუბლიკის სხვადასხვა კურორტებში დაისვენა მუშა-მოსამსახურეთა ერთმა ნაწილმა, გაიცა საზღვარგარეთის საგზურებიც, მაგრამ გაკეთებულს სჯობს გასაკეთებელი, ამიტომაც პროფკომიტეტს დირექციასთან ერთად ჩაფიქრებული აქვს რიგი ღონისძიებებისა, რომელთა გადაწყვეტა ერთგვარად გააუმჯობესებს მშრომელთა სოციალურ პირობებს.

სადღეისოდ, უძველეს საწარმოს—კომბინატ „ოდიშს", მის კოლექტივს, მრავალი საპრობლემო საკითხი აქვს გადასაწყვეტი, რაც სამომავლო საქმეა.

ესაუბრა ბ. ასათიანი.

ხსოვნის ნათელი

## მარიკა ხვიტია

რა მწარედ ხვდება ყურს ეს სახელი და გვარი... რა მწარედ ხვდება გულს სიცოცხლით, სიყვარულით, ნატვრითა და ოცნებებით აღსავსე ოცდაცხრა წლის ქალის სიკვდილი.

შენ, გაზაფხულთან ერთად დაიბადე, მარიკა... და სწორედ გაღვიძებულმა გაზაფხულმა მიიბარა შენი სული. უკანასკნელად მასზე „ლურჯი აპრილი" და თან გაატანე შენი ფიქრები, რამდენი რამ დაგრჩა გასაკეთებელი...

ადამიანები ორი სიცოცხლით ცხოვრობენ: ერთი ფიზიკურად თავდება, მეორე უკვდავებაში გადადის. პირველნი მხოლოდ საკუთარ თავს უკვდებიან, მეორენი ოჯახს, მეგობრებს, ნათესავებს. შენ, ჩვენო კეთილო მარიკა დაგრჩა ახული, თეონა, ვის მომავალსაც ასე შეჰხაროდი. არ დაგცალდა მასთან ყოფნა და ალერსი.

ლამაზი სიცოცხლით იცხოვრე, კარგი სტუდენტი, კარგი თანამშრომელი, კარგი მეზობელი იყავი, ვინ იცის, კიდევ რამდენი კარგის გაკეთება შეგეძლო.

მეგობრებსა და ამხანაგებში, ნათესავსა და ნაცნობებში დარჩა შენი ნათელი ხსოვნა.

ო, რა დაუვიწყარი, განუკურნებელი ტკივილი ხარ, ჩვენო მარიკა.

მეგობრები.

## მას სიცოცხლე უყვარდა

ახლა ის ოცდაათი წლის იქნებოდა, მაგრამ ადრე წავიდა ჩვენგან, წავიდა და თან დაგვიტოვა დიდი ტკივილი და ლამაზი მოგონება.

შინაარსიანი ბიოგრაფია ჰქონდა ახალგაზრდა კაცის ქვალობაზე. ჯერ იყო სკოლაში სწავლის პერიოდი, მერე სენაკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაამთავრა, ქითაწყარის კოლმეურნეობაში იმუშავა რიგით ბუღალტრად, სამხედრო სამსახურიც მოიხადა, ბოლოს იყო სტუდენტობის განუმეორებელი წლები.

გულთბილად შეხვდა ახალგაზრდა სპეციალისტს ზუგდიდის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის კოლექტივი. შეიყვარა მისმა თითოეულმა წევრმა ფიქრიანი, კეთილი, სიახლეთა მაძიებელი ინჟინერ-ავტომატიკოსი. ცოტა ხანი დაჰყო მათთან, მაგრამ მოასწრო ეთქვა თავისი სათქმელი: დანერგა არაერთი რაციონალიზატორული წინადადება, რომელმაც დიდი სარგებლობა მოუტანა ფაბრიკის კოლექტივს.

სექტემბრის თვეში გარდაიცვალა. წავიდა ყოველდღიური საზრუნავითა და სიახლის შიებით აღსავსე ახალგაზრდა კაცი. ფრთები შეეკვეცა მის ნაფიქრალს. ოჯახის შექმნაც ვერ მოასწრო.

ახლობლებსა და მეგობრებს გვიჭირს შეგუება საყვარელი ადამიანის დაკარგვასთან. ცრემლები, მხოლოდ ცრემლები და უზომო სიყვარული მიჰყვება მას... ბებერი მესხის ხსოვნას სათუთად ინახავს ყველა, ვინც კი იცნობდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა მასთან.

ვ. მესხი.

ცნობისმოყვარეთა კუთხე

## 47 საუკუნის წინათ

ძველი ეგვიპტის ცნობილი ფარაონის ხეოპსის პირამიდა—ამ სახის ნაგებობათა შორის ყველაზე გრანდიოზულია. მისი სიმაღლეა 147 მეტრი (ნაგებობის შიგნით თავისუფლად მოთავსდებოდა ნებისმიერი ევროპული ტაძარი). ყოველი დახრილი გვერდის სიგრძე შეადგენს 235 მეტრს, მთლიანად პირამიდას დაკავებული აქვს 55 ათასამდე კვადრატული მეტრი ფართობი. ამ ნაგებობის აღმართვისას გაიხარჯა 2 მილიონ 300 ათასი კირქვის ბლოკი. თითოეული მათგანის წონა 3 ტონამდეა.

თვით მღწიშნულ პირამიდას აშენებდნენ 20 წლის განმავლობაში. ხოლო იმ გზას, რომელზედაც უნდა ეზიდათ სამშენებლო ქვის ლოდები მდინარე ნილოსის ნაპირიდან—10 წლის მანძილზე. 47 საუკუნე გავიდა ამ საოცარი ნაგებობის აშენებიდან და ამ ხნის განმავლობაში მას მხოლოდ ოდნავ დაუზიანდა წვერი.

მეცნიერთა აზრით პირამიდა კიდევ დიდხანს გაუძლებს დრო და ჟამთა მსვლელობას.

გაზეთებიდან.

ისტორიული პარალელები

# რომაელი დემოსთენე

კატონის ნაწილმწიფობრივ მოღვაწეობაში, როგორც ფიქრობენ, დახვეწილი საქმე კართაგენის მოსპობა იყო. კართაგენს საზღვარი მოქმედებით სციპიონ უმცროსმა დაუდო, მაგრამ ომი კართაგენთან რომაელებმა სწორედ კატონის შეგონებით, მისი რჩევა-დარიგებით დაიწყეს შემდეგი მიზეზის გამო. როცა კართაგენელებმა და ნუმიდიის მეფე მასანასამ ერთმანეთში ომი დაიწყეს, უთანხმოების მიზეზთა გამოსარკვევად სენატმა იქ კატონი გაგზავნა. მასინისა თავიდანვე რომაელი ხალხის მეგობარი იყო, ხოლო სციპიონის მიერ დამარცხებული, გამარჯვებულის უფლებას აღკვეთილი და მძიმე ხარკდადებული კართაგენელები რომაელებთან ზავით იყვნენ შეკრულნი. კატონმა კართაგენის ქალაქი იხილა არა იავარქმნილ და დაკნინებულ ქალაქად, როგორც რომაელებს ეგონათ, არამედ ისეთ სახელმწიფოდ, რომელსაც მრავალი შემართული ვაჟკაცი ჰყავდა, აღსავსე იყო დიდი სიმდიდრით, ყოველგვარი იარაღითა და საომარი აღჭურვილობით, რის წყალობითაც თავს სრულიადაც არ გრძნობდა ძალშემცირებულად. რაკი ახეთი ვითარება ნახა, კატონი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ახლა ნუმიდიელთა და მასინისას საქმეთა განხილვისა და მოწესრიგების დრო არ იყო. მისი აზრით, თუ რომაელები არ აიღებდნენ იმთავითვე მტრულ და ახლა განმტკიცებულ და დაუჯერებლად გაძლიერებულ ქალაქს, კვლავ უწინდებური საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდნენ. როგორც კი დაბრუნდა რომში, კატონმა სენატს შეგონება დაუწყო: უწინდელმა დამარცხებებმა და თავდატეხილმა უბედურებამ კართაგენელებს იმდენად ძალა კი არ გამოაცალეს, რამდენადაც გონს მოიყვანეს. შექმნილმა საფრთხემ კი არ დაუძლურა ისინი, არამედ უფრო მეტი საომარი გამოცდილება შესძინა. ნუმიდიელებზე თავდასხმით ისინი რომაელებთან იწყებენ ბრძოლის გამართვას და დადებული ზავის საფარველით ომის ახატებად მოხერხებულ დროს ელოდებიანო. ამბობენ, როცა ეს სიტყვები წარმოთქვა, ტოგა გადაიწია და სენატის იატაკზე ხაგანგებო ზრახვით ლიბიური ლეღვები გადმოაყარა. მათი სიდიდითა და სილამაზით გაკვირვებულ სენატორებს კატონმა უთხრა: აი, ასეთ ნაყოფს იძლევა მიწა, ჩრდილოეთ რომიდან სამი დღის სანაოსნო მანძილზე მდებარეობს. იგი უკვე აშკარად მოითხოვდა მეტ ძალდატანებას და ამიერიდან არც ერთ საქმეზე წარმოთქმულ სიტყვას ისე არ დაამთავრებდა, რომ ეს არ დაემატებინა „ჩემის ფიქრით კართაგენი არ უნდა არსებობდეს". პუბლიუს სციპიონ ნაზიკა კი — პირიქით, როცა [illegible] შეეკითხებოდნენ, ყოველთვის ამას იმეორებდა: „ჩემის ფიქრით, კართაგენი უნდა არსებობდეს". ეტყობა, სციპიონ ნაზიკა კარგად ხედავდა, რომაელთა ხალხი რომ ერთობ გადიდგულებული იყო და წარმატებებით გაამაყებული სენატს აღარ ემორჩილებოდა და საითკენაც საკუთარი ვნებები მოუწოდებდნენ, მთელ სახელმწიფოსაც ჯიუტად იქითკენ ეწეოდა"...

პლუტარქეს „რჩეული ბიოგრაფიებიდან" ამოწერილი ეს მცირე ფრაგმენტიც თვალნათლივ წარმოაჩენს ცნობილი რომაელი პოლიტიკოსის კატონის პატივმოყვარეობას და იმპერიულ ამბიციებს, რასაც იგი სხვათაშორის შესანიშნავად ახამებდა მაღალ ინტელექტს, გამჭრიახობასა და ქველობას. და ეს კაცი მთელი თავისი ცხოვრება ებრძოდა თავისუფლებისმოყვარე კართაგენს. რით დასრულდა ეს ბრძოლები, დღეს ყველასათვის ცნობილია. არაერთი იმპერია, და მათ შორის რომისა, აღიგავა მიწისაგან პირისა. მაგრამ ხაუბედუროდ დღემდე რჩება ორი დაპირისპირებული ფენომენი: დამპყრობი და დაჩაგრული ერი. ეპოქები იცვლება, კატონები და კართაგენები კი რჩებიან.

ჯ. თელია.

## მილოცვები, სურვილები

პატარა დიმიტრი ზვიადის ძე ხოველიას დაბადების დღეს ულოცავს ნელი დეიდა, უხურვებს დიდი ხნის სიცოცხლეს და ღირსეულ მამულიშვილობას.

## ისევ ჩვენ

თუნდაც ახლავე ჯვარზე გამაკრან,
მაინც ვიტოვებ უფლებას სიტყვის,
თუნდაც სიმართლის დავრჩე ზვარაკად,
მე მაინც, მაინც სიმართლეს ვიტყვი!
ვიტყვი და თუნდაც გულს ცოხვას ვიმჩნევ,
თუნდაც სირცხვილით აეწვას ლოყა:
ოდითგან მოგვდგამს ამერს თუ იმერს —
ვერ ვარჩევთ ზოგჯერ მტერსა და მოყვასს.
ისევ ჩვენ, თორემ რად არის ნეტავ,
რომ ახლაც გვადევს მხრებზე მტრის ტორი.
ისევ ჩვენ, თორემ ვინ გაიმეტა
დიდი ილია — კაცი ღვთის ტოლი!
ისევ ჩვენ, თორემ ვის შეუძლია,
რომ შევავედროთ მამულს საყვარელს;
მოსულს საკუთარ მიწად უცვნია
და დღეს ვერაფრით რომ ვერ ავყარეთ.
ისევ ჩვენ ვდებთ ერთმანეთს ბორკილს,
საფლავს ჩვენ ვუთხრით ერთმანეთს ისევ,
ოდეს ქება თუ გავიგეთ მოყვრის
მივცვივდებით და ვამიწებთ მყისვე.
ისევ ჩვენ, თორემ ჩვენივე ძმათა
საღ აზროვნებას ვინ აბამს თასმით,
დღეს ყველამ ვიცით თუ ვინ გახადა
ჩვენივე ერის ცხოვრების ფარსი...
გვეყო ამდენი მტრობა და შუღლი,
ურთიერთნდობა იმდენი გვქონდეს,
ისე ჩავყაროთ სიკეთის თესლი,
რომ სასიკეთოს ისხამდეს ყლორტებს.

მახტანგ გულუა.

მკითხველი შენიშნავს

## გინდ დამიჯერეთ, გინდ არა

თითქმის ყველა ჩვენგანს გააჩნია ოჯახში ერთი-ორი წყვილი შესაკეთებელი ფეხსაცმელი, რომელსაც, ამ გაჭირვების ჟამს, კვლავაც მოიხმარს კაცი. ჰოდა, მეც ერთ მშვენიერ დღეს ამოვიღლიავე შესაკეთებელი ფეხსაცმლები და მივაკითხე შესაბამის სახელოსნოს. გინდ დამიჯერეთ, გინდ არა, ქალაქში არსებულ თითქმის ყველა სახელოსნოს მივაკითხე, მაგრამ ხელოსნებმა უარით გამომისტუმრეს. ჩვენ ვწუხვართ და ვაჭედებთ, ნემსითა და ძაფით არ ვმუშაობთ და არც გვაქვსო,— განაცხადეს მათ. ზოგმა ცინიკურად მკადრა, შენ მეთორმეტე საუკუნეში ხომ არ ცხოვრობ, რაღა დროს ნემსი და ძაფიაო. ისიც თქვეს, ჩვენი ხელშემწყობი არავინაა, რაც შესაკეთებლად ხაჭირო, იმასაც ჩვენი ფულით ვყიდულობთ სპეკულანტებისაგანო. აი, კეთილი მომსახურებაც ამას ჰქვია — გავივლე გულში. თქმით კი არაფერი მითქვამს. ისევ ამოვიღლიავე ნემსა და მაფს „მოწყურებული" ჩემი ფეხსაცმლები და წავედი.

ნ. გულია.

## ვ. ჩ. როგავა

გარდაიცვალა ომისა და შრომის ვეტერანი ვალერიანე (ვალიკო) ჩაჩუას ძე როგავა.

დაიბადა 1922 წელს სოფელ ყულიშკარში. თბილისის ცეკავშირის საბუღალტრო სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მივლინებულ იქნა წალენჯიხის რაიკავშირში მთავარ ბუღალტრად. სხვადასხვა დროს ვ. როგავა იყო ორჯონიკიძის კოოპერატივის, წალენჯიხის მუშათა მომარაგების განყოფილების, ჯვარის თაბაშირის ქარხნის მშენებლობის, ყრუ-მუნჯთა საზოგადოებისა და სხვა ორგანიზაციების მთავარი ბუღალტერი.

სამამულო ომში გამოჩენილი თავდადებისათვის დაჯილდოებული იყო საბრძოლო ორდენებითა და სხვადასხვა მედლით.

ამაგდარი ადამიანი ახალგაზრდა სპეციალისტებს უშურველად გადასცემდა თავის გამოცდილებას.

აღარ არის ჩვენს შორის კარგი მოქალაქე, ღირსეული მამა და გულისხმიერი ადამიანი, მაგრამ მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი
აკ. შანტურია.

მეუღლე ნუცა ქაავა. შვილები: ნოდარი. გივი. ლამარა. რძლები ლიანა, ციალა, ნინო ფიჩხაიები. შვილიშვილები გია. იაგო, ტარიელი. ომარი. შოთა. შვილთაშვილი გიგო. სიძე ლევან კუჭუხიძე, დეიდაშვილი ლიდა შონია ოჯახით და ახლო ნათესავებით იუწყებიან შოთა ნესტორის ძე ფიჩხაიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 მარტს. გამოსვენება 5 მარტს. ქ. ზუგდიდი. ცაბაძის ქ. 77.

შვილები: აზა. მზია. გიგლა. გიული. გენადი. მამა გრიშა ჯიქია. დები: ნათელა. ნორა შენგელაიები. თინა. ლიანა. ჯიქიები. ძმა აბესალომ ჯიქია. მაზლი შურა. რძლები მზია. ზამირა. მალინა. მიმოზა. ზინა. სიძეები: სერგო მიქავა. ინდიკო მიქავა. რობერტი წურწუმია. შვილიშვილები. დისშვილები. ძმისშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან ნაზია ბაგრატის ასულ შენგელაია-ჭკადუას გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 მარტს. დაკრძალვა 5 მარტს. სოფელ რუხში. გამოსვენება მექანიზატორების 9.

მეუღლე ბოჩო. შვილები თორნიკე. ნატო. დები. ნინა. შუშანიკ შარანგიები, დისშვილი გოგი ღურწკაია. რძლები ზეინაბ დაბრუნდაშვილი. ლიანა აკობია. სიძე როლანდი თორია. შვილიშვილები გიზო. გიული. ჯოგიტა ჭკადუები. ბიძაშვილები, დეიდაშვილები. მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან კლარა (მედიკო) თეიმურაზის ასულ შარანგია-ჭკადუას გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6 მარტს. გამოსვენება 7 მარტს 4 საათზე სოფელი რუხი, 9 აპრილის ქუჩა. დაკრძალვა სოფელ მუხურში (გალის რაიონი).

ზუგდიდის ეროვნულ-ოპოზიციურ ორგანიზაციათა საკრებულო თანაუგრძნობს რეზო თირქიას ძმის ალიკო აკაკის ძე თირქიას გარდაცვალების გამო.

მეუღლე ჯულელი. შვილები: ქეთინო. დათო. დედა ჟურა. ბებია ათინო. დედამთილი ჟიჟინო. და ლეილა. ძმები: როინი. ემზარი. ძმისშვილები: კონსტანტინე. ირაკლი. ანი. კოტიკა სახლუხაძეები. დისშვილი პაპუნა შონია. მულე ქუჩუჩა საჯაია. ბიძები მაცა. ბაგრატი, მიშა სანდუხაძეები. ბამუ. კაკო. ვაჟა ფაცურიები. მალაქია კალანდია. დეიდები ლიდია. პეროშქა. ცუცა. ფუფული. ნუნუ. ნანიკო ფაცურიები. მერი საჯაია. რძლები: აზა ჟორდანია. მანანა კვარაცხელია. სიძეები: იგორ შონია, ვასო თოლორაია, ბიჭუნა ლატარია. ბიცოლები: მირდიკო. ნელი. ინე. ვენერა. მიმოზა. მზიური. მულიშვილები: ჯულიეტა. ბესიკი. მერაბი თოლორაიები. ბიძაშვილები: დეიდაშვილები, მამიდაშვილები. ახლო ნათესავები იუწყებიან მანერა კონსტანტინეს ასულ სანდუხაძე-საჯაიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7, 8 მარტს. დაკრძალვა 9 მარტს ორსანტიაში.

და სინათლე, ძმა მირო ნანავა, ძმისშვილები: მიმოზა. თემური. თამაზი. თორნიკე. მირიან ნანავები. რძლები: შურა, მადონა. ქეთინო. როზა. სიძე გურამ ჩიქოვანი. მამიდაშვილი ნატიკო ფარულავა. ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავებით იუწყებიან ვარდიშა კიკის ასულ თოდუას გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6 მარტს. დაკრძალვა 7 მარტს წითელ რუხში.

მეუღლე ფულია, შვილები: ნუგზარი. გემელი მანიები. ვალტერი რაფავა. რძლები: ასმათი, ნანული. მარინა. დები: ძაბია. ჟუჟუნა. თინა. სიძეები: კოლია ვექუა, ვალიკო ბერულავა. შვილიშვილები: გოგიტა. გელა. შორენა. ნუკრი. ირმა. ინდირა. დისშვილები: ნუნუ. ვიტალი. გურიელი. ნატო. მაია. მანანა. მარინა. მაყვალა. შოზია. მამიდა მიმინო სამუშია. მამიდაშვილები: შოდოლი. გოგუცა შვატია. ციალა აკობიები, ცოლისძმა ჟორჟი რაფავა. რძალი ლიდა. ახლო ნათესავები იუწყებიან ჰიჰიკო აქვსენტის ძე მანიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 მარტს. დაკრძალვა 5 მარტს სოფ. რიყეში.

დისშვილები: ჰიჰიკო. ლეილა. ჯულიეტა. იზოლდა წარიები. რძალი ნელი წარია. სიძეები: იროდი ჩერქეზია. ვახტანგი ხუბუა. ორდი ქადარია შვილებით იუწყებიან ბიძის შალვა ონისიმეს ძე ზარანდიას გარდაცვალებას.

რძალი ჟუჟა. შვილიშვილები: მამუკა. ლორიტა. გოდერძი. სიძე სოსო მამფორია. რძლები: ლილე პერტია. ნანა ცქირია, დონუცა. ძმა ალექსანდრე. დისშვილები, ძმისშვილები. ცოლისძმისშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან მიშა მარკოზის ძე ზარქუას გარდაცვალებას. დაკრძალვა 5 მარტს ლიდინეძში.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის [illegible] პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00

საქ. ბეჭდვისახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-28-07 ტირაჟი 3000 შეკ. №722